

მიმოხილვა

ნანა ნოზაძე

ხურიტული ენისა და მწერლობის შესახებ

ასზე მეტი წელია, რაც მეცნიერებისთვის ცნობილია ხურიტული, ანუ ენა ჭვეუნისა, რომელიც არსებობდა ძვ. წ. XVI-XIV სს-ში და ცნობილი იყო, როგორც: მითანი, ხური – ხეთებისთვის, მარიანუ, მეთანი, ნაჰარინი – ეგვიპტელთათვის, ხანიგალბათი – აშურელთათვის. რაც შეეხება ელიტის ენას, რომელიც მართავდა ამ ჭვეუნას, ზოგიერთი მკვლევრის აზრით (Kammenhuber), ეს უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ განუყოფელი ინდოირანული ენა. თეონიმები ადამიანის საკუთარ სახელებთან ერთად და ტერმინოლოგია ინდოირანულ სუპერსტრატზე მიუთითებს. დიპლომატიურ ტექსტებში ნახსენებია მითრა, ვარუნა, ინდრა და სხვა მეორეხარისხოვანი ღვთაებები... ხურიტი კიკულის დაწერილ ტრაქტატში, რომელიც ცხენების წვრთნასა და ჯირითის ხელოვნებას ეხება, სპეციალური ტერმინოლოგია ინდოირანულია... ასევე ამ სუპერსტრატს ეკუთვნის დღესასწაულთა სახელები. ჭვეუნის მეფეები ტიპიურ ინდოირანულ სახელებს ატარებდნენ და თავად ჭვეუნის სახელწოდებაც მარიანუ მომდინარეობს სიტყვიდან *marya*, რომელიც „მეომარს“ ნიშნავს, როგორც სანსკრიტში. დედაქალაქის სახელწოდებასაც გამჭვირვალე ინდოირანული ეტიმოლოგია აქვს: ვასუხან ნიშნავს „დოვლათის საბადოს“. ეს ყველაფერი მოწმობს ინდოარიული ელიტის მძლავრობას ადგილობრივ მოსახლეობაზე აღმოსავლეთიდან მათი ექსპანსიის შედეგად. თუ ასეა, როგორ მოხდა, რომ გაბატონებულმა წრემ სახელმწიფო ენად აქცია არა ეს ინდოირანული ერთობის ენა, რომელიც მათ მოიტანეს აღმოსავლეთიდან, არამედ ადგილობრივი ხურიტული მოსახლეობის ენა? შესაძლებელია ამის მიზეზი ის ყოფილიყო, რომ ხურიტულს ან ხურის ენას ინდოირანელთა მოსვლამდე ჰქონდა ხანგრძლივი ლიტერატურული ისტორია იმისათვის, რომ საერთაშორისო ურთიერთობის ენის ფუნქცია ეკისრა აქადურთან ერთად, რომელიც მთელს ძველ აღმოსავლეთში ლინგვა ფრანკას როლს ასრულებდა. მითანის სამეფო კარი ეგვიპტის ფარაონს, რომელთანაც ის დამოკვრებული იყო, წერილებს აქადურად და ხურიტულად წერდა. სწორედ ცნობილმა აქადურმა შეაძლებინა მკვლევრებს, გაეშიფრათ ხურიული ენა და მის გრამატიკულ სტრუქტურას ჩასწვდომოდნენ.

ძველი წინა აზიის მრავალრიცხოვან ენათა შორის ხურიტულ ენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა იგი სხვა ენებთან შედარებით (ხეთური, აქადური) ნაკლებადაა შესწავლილი. დავესესხებით გ. ვილჰელმს, რომელიც 1988 წელს აღნიშნავდა, რომ ერთსაუკუნოვანი არქეოლოგიური და ფილოლოგიურ-ისტორიული კვლევის შედეგად მოხერხდა ხურიტების გამოყვანა ტროგლოდიტური ბინდ-ბუნდიდან, მაგრამ მათი სურათი ძველ-აღმოსავლურ ისტორიაში დღემდე ფრაგმენტულ ესკიზებს არ გასცილებია (Xenia Heft 21, 43).

პირველად 1887 წ. ეგვიპტეში, ელ-ამარნაში აღმოჩნდა ფარაონთა სახელმწიფო არქივი, რომელშიც სხვა კორესპონდენციებს შორის იყო მითანის მეფის თუშრატას წერილები ეგვიპტის ფარაონებთან. წერილები შედგენილი იყო აქადურ ენაზე. მხოლოდ ერთი წერილი იყო მეცნიერთათვის მანამადე უცნობ ენაზე დაწერილი. ბუნებრივია, ივარაუდეს, რომ ეს იყო მითანის მეფის მშობლიური ენა. ამიტომ ენას უწოდეს მითანური, ხოლო წერილს – მითანური წერილი. ეს არის ვრცელი ტექსტი (დაახლოებით 500 სტრიქონი). აქადური და მითანური წერილების შინაარსი თითქმის იდენტურია. ძველის გაცნობისთანავე ნათელი გახდა, რომ მითანური წერილის ენა ბევრ საერთოს ავლენს ბოლახ-კოის არქივში დაცულ ხურიტულენოვან მასალასთან. უძველესი ხურიტული ტექსტი – თიშათალის წარწერა განეკუთვნება ძვ. წ. აღ. XXIII-XXI საუკუნეებს. მარის არქივში ნაპოვნია ხამურაბის ეპოქის დროინდელი რელიგიური ხასიათის ტექსტები – ძვ. წ. აღ. XIX-XVII საუკუნეები. ძვ. წ. აღ. XV ს-ით თარიღდება თუშრატას წერილი ეგვიპტის ფარაონ ამენოფის IV-სადმი. რას-შამრა (უგარიტში) ჩრდილო სირიაში აღმოჩენილი ტექსტები ძვ. წ. აღ. XIV საუკუნისაა. ამავე ეპოქას განეკუთვნება მრავალრიცხოვანი ხურიტული ტექსტები, ნაპოვნი ბოლახ-კოის, ხეთების სამეფოს დედაქალაქის ხატუსას არქივში. ბოლახ-კოის ტექსტები ძირითადად ფრაგმენტულია ანდა ხეთურ-ხურიტული (ხეთურ ტექსტებში ჩართულია ხურიტული ფრაზები ან სიტყვები). ცალკეული სიტყვები და ფრაზები გაფანტულია ნუხის, ბოლახ-კოის არქივებში, შუმერულ და აქადურ ტექსტებში და სხვა.

ხურიტების არსებობა შუამდინარეთში ძვ. წ. აღ. III ათასწლეულში დასტურდება შუმერულ ტექსტებში მოხსენიებული ხურიტული საკუთარი სახელებით. მათი არსებობის შესახებ შუამდინარეთსა და სირიაში ასევე ვიგვბთ აქადური ტექსტებიდან. ყველა წყარო მიუთითებს იმაზე, რომ ხურიტები გამოჩნდნენ შუამდინარეთში ურმიის და ვანის ტბების მთიანეთიდან ძვ. წ. აღ. III ათასწლეულში. ძვ. წ. აღ. XV ს-ში ჩრდილოეთ შუამდინარეთში შეიქმნა ძლიერი სახელმწიფო მითანი. 1375 წ. ძვ. წ. აღ. ხეთებმა დაიპყრეს მითანი, ძვ. წ. აღ. XIII ს-ში მითანის სამეფო დაიპყრეს ასირიელებმა. ძვ. წ. აღ. I ათასწლეულიდან ხურიტები დამოუკიდებლად აღარ მოიხსენებიან, არ არის შემორჩენილი არც ამ პერიოდის ხურიტული ტექსტები, მაგრამ აქა-იქ ასურულ წყაროებში შემორჩენილი ხურიტული საკუთარი სახელები მიუთითებენ იმაზე, რომ ხურიტები ჯერ კიდევ ბინადრობენ ამ ტერი-

ტორიაზე. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ძვ. წ. აღ. ნაირის ქვეყანაში სახლობდნენ ხურიტების მონათესავე ტომები, რომლებიც ძვ. წ. აღ. I ათასწლეულის დასაწყისში ქმნიან სახელმწიფოებს მუცაცირი (არდინი) და ურარტუ (ბიანილი). ძვ. წ. აღ. VI ს. ურარტუ დაიპყრეს ინდოევროპული წარმომავლობის მქონე არმენებმა.

ხურიტული და მასთან მეტად ახლოს მდგომი ურარტული (I ათასწლეული, ძვ. წ. აღ. IX ს-ის ბოლო - VII ს-ის შუა წლები) განეკუთვნებიან ძველი აღმოსავლეთის ე.წ. „იზოლირებულ“ ენებს. არც ერთი მათგანი არ ამჟღავნებს გენეტიკურ კავშირს ენათა ცნობილ ოჯახებთან (ინდოევროპული, სემიტური და სხვა). ტიპოლოგიურად ხურიტულ-ურარტული აგლუტინაციური ენაა, წინადადების ერგატიული კონსტრუქციით. ხურიტულ-ურარტულ ენათა ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა აგრეთვე ე.წ. „სუფიქსთა გადატანა“. ხურიტული და ურარტული ენების მონათესავეობის საკითხით დაინტერესებული იყვნენ ლემან-ჰაუპტი, ა. უნგნადი, ი. ფრიდრიხი, ბრანდენშტაინი, გოეტცე, სპეიხერი, დიაკონოვი და ბევრი სხვა მკვლევარი. ზოგი მეცნიერის აზრით ურარტული წარმოადგენს ხურიტულის დიალექტს (გოეტცე), ზოგს დამოუკიდებელ მონათესავე ენებად მიაჩნია (გ. მელიქიშვილი, ი. დიაკონოვი), გ. ვილჰელმის და მ. სალვინის აზრით ხურიტული და ურარტული წარმოადგენენ მონათესავე ენებს, რომლებიც პარალელურად განვითარდნენ ისტორიულად მოუხელთებელი წინარე ენისაგან. ხურიტულ-ურარტული ენების მიმართება კავკასიურ ენებთან აინტერესებდა მრავალ მკვლევარს (ფ. ბორკი, სპეიხერი, ი. ფრიდრიხი, გ. კლიმოვი, ი. ბრაუნი, ი. დიაკონოვი, გ. მელიქიშვილი, ი. მეზჩანინოვი, გ. წერეთელი და სხვა). გ. წერეთელი აღნიშნავდა, რომ ქართველური ენების სტრუქტურული ნორმების გათვალისწინების გარეშე ვერ შევძლებთ ურარტული ბრუნვების სინტაქსური მნიშვნელობის აღწერას, რომ ქართველური და ურარტული ენები ამჟღავნებენ საოცარ მსგავსებას, რომ ურარტული გარდამავალი ზმნის უღვლილებაში ვპოულობთ სრულ ანალოგიას ქართველურ ენებთან. ნ. ნოზაძემ გამოავლინა ტიპოლოგიური პარალელები ხურიტულ და ქართველურ (ქართული, ჭანური) ენების ზმნის სტრუქტურაში.

მითანური წერილის აღმოჩენისთანავე დაინტერესდნენ მეცნიერები. უკვე 1890 წელს გამოჩნდა პირველი ნაშრომები. ქვეყნდება უამრავი სტატია მიძღვნილი ხურიტული ენის ლექსიკისა და გრამატიკული სტრუქტურის ცალკეული საკითხებისადმი. გამოქვეყნდა აგრეთვე მონოგრაფიები – მეცნიერულად გამართული გრამატიკები: E.A. Speiser, Introduction to Hurrian, New Haven 1941; Bush, A Grammar of the Hurrian Language, Ann arbor, 1964; კოლექტიური ნაშრომი Das hurritologische Archiv (Corpus der hurri(ti)schen Sprachdenkmaler) des Altorientalischen Seminars der Freien Universität Berlin, von Volkert Haas, Hans-Jochen Thiel et. al. 1975; 2000 წ. გამოქვეყნდა ნაშრომი Ilse Wegner, Einführung in die hurritische Sprache, Wiesbaden, რომელიც წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს ხურიტული ენის შემსწავლელთათვის,

როგორც თვითონ ავტორი გვაუწყებს. აღსანიშნავია, რომ ხურიტული ენის გრამატიკული სტრუქტურის კვლევის ძირითად და თითქმის ერთადერთ წყაროს ბოლო დრომდე წარმოადგენდა თუშრატას წერილი. და აი, 1983-85 წლებში ბოლახ-კოიში ხეთების დედაქალაქ ხათუსას გათხრებისას აღმოჩნდა საკმარის ვრცელი ხეთური ლურსმული დამწერლობით შესრულებული ტექსტი – ხურიტულ-ხეთური ბილინგვა (KBo XXXII). ტექსტი ორ სვეტადაა წარმოდგენილი: მარცხენა სვეტი ხურიტულია, მარჯვენა – მისი შესატყვისი ხეთური თარგმანი. ეს აღმოჩენა სენსაციურ, საუკუნის აღმოჩენად მიიჩნიეს. მრავალი მეცნიერი დაინტერესდა ამ უნიკალური ტექსტით (ჰ. ოტენი, მ. ჯორჯერი, ფ. ჰასსი, ი. ვეგნერი, გ. ვილჰელმი, დე მარტინო, მ. სალვინი და სხვა). გამოქვეყნდა მრავალი სტატია, რომლებშიც განიხილება ლექსიკისა და გრამატიკის ცალკეული საკითხები. ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური კვლევა.

მეტად საინტერესოა ე. ნოის მოსაზრებები ბილინგვის ენის თავისებურებების შესახებ. უკვე 1988 წ. გამოქვეყნდა მისი ნაშრომები: E. Neu, Das Hurritische: Eine altorientalische Sprache in neuem Licht; Hurritische Verbalformen auf -ai aus der hurritisch-hethitischen Bilingue; Varia Hurritica. Sprachliche Beobachtungen an der hurritisch-hethitischen Bilingue aus Hattusa; Zum hurritischen „Essiv“ in der hurritisch-hethitischen Bilingue aus Hattusa და მრავალი სხვა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს Ejerib ნოის სტატია Zur Grammatik des Hurritischen auf der Grundlage der hurritisch-hethitische Bilingue aus der Bogazköy-Grabungskampagne 1983, Xenia Heft 21, 1988, 95-115, რომელშიც ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ბილინგვის აღმოჩენისა და პირველადი დაკვირვებების შედეგებს. ცალკე განიხილავს ხურიტული ზმნის მოდალურ ფორმებს ხეთურ შესატყვისობებთან ერთად.

1996 წ. გამოქვეყნდა ე. ნოის ფუნდამენტური ნაშრომი – მონოგრაფია Das hurritische Epos der Freilassung I, Untersuchungen zu einem hurritisch-hethitischen Textensemble aus Hattusa, Studien zu den Bogazköy-Texten, Herausgegeben von der Kommission für den Alten Orient der Akademie der Wissenschaft, und der Literatur, Heft 32, Harrassowitz Verlag, Wiesbaden (შემდგომში Freilassung). წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ დაგეგმილია მომდევნო ტომი Das hurritische Epos der Freilassung II. Grammatik und Glossar, რომელშიც შევა ბილინგვის ხურიტული ტექსტების საფუძველზე შედგენილი ახალი ხურიტული ენის გრამატიკა და ვრცელი ხურიტულ-ხეთური გლოსარი. შესავალში გარკვეულია ბილინგვის წარმომავლობა და მისი შექმნის თარიღი. ტექსტში მოხსენებული ღმერთები და ადგილის სახელები ებლა და ნუხაშუ მიუთითებს იმაზე, რომ ხურიტული ტექსტი უნდა შექმნილიყო ჩრდილოეთ სირიაში ძველბაბილონური ხანის ქალაქ-სახელმწიფოს ებლას დანგრევის შემდეგ ძვ. წ. მე-17 ს-ში. მოგვიანებით, ხეთების მიერ იქ წარმოებული დაპყრობითი ომების დროს იქნა ჩამოტანილი ხათუსაში, სადაც ითარგმნა ხეთურად. ჩვენამდე მოღწეული ბილინგვა შედგენილი უნდა იყოს დაახ-

ლოებით ძვ. წ. აღ. 1400 წელს. შესავალში არის მსჯელობა ამ ორენოვანი ტექსტის სახელწოდების შესახებ. საბოლოოდ დადგენილია, რომ იგი იწოდება „ეპოსი/სიმღერა (მონათა) განთავისუფლებისა, ხეთური para tarnumar, ხურიტული kirenzi. ავტორი ლაპარაკობს ბილინგვის მნიშვნელობის შესახებ. ტექსტის ნაწილების თანმიმდევრობას ნოი ადგენს შინაარსის მიხედვით: 1. KBo XXXII 11 (I Tafel Proomium); 2. KBo XXXII 12 (II Tafel Parabeln); 3. KBo XXXII 14 (Parabeln); 4. KBo XXXII 13 (Fest der Allani); 5. KBo XXXII 16 (Ebla); 6. KBo XXXII 15 (V Tafel Ebla); 7. KBo XXXII 17 (Ebla); 8. KBo XXXII 18 (Ebla); 9. KBo XXXII 19 (Ebla); 10. KBo XXXII 20 (Ebla); 11. KBo XXXII 10 (Ebla). და ბოლოს, მონაკვეთში Zur hurritischen Grammatik აღნიშნულია, რომ ხურიტულის გრამატიკა ჯერ ისევე გამოსაკვლევიანია, რაშიც დიდ როლს შეასრულებს ახლად აღმოჩენილი ხურიტულ-ხეთური ბილინგვა.

შემდეგ მოდის ბილინგვის ტექსტი თარგმანით და ვრცელი კომენტარებით. შესავალი (KBo XXXII 11 (proomium)) ფრაგმენტულადაა შემონახული. ძალიან დიდი ნაწილი დაზიანებულია. იწყება: „მოგიყვებით ქალაქ კუმის დიდი მეფის თეშუმის შესახებ, ვადიდებ ახალგაზრდა ქალბატონ ალლანის და მათთან ერთად გესაუბრებით ახალგაზრდა ქალბატონ იმხარას შესახებ; გესაუბრებით ფიზიკარა ნინეველზე, რომელიც ებლაში იქნა ჩამოყვანილი. ფიზიკარამ გაანადგურა ნუხაშე და ებლა...“ მომდევნო სტრიქონებში თითო-ოროლა სიტყვა ამოიკითხება, მაგრამ ტექსტის თარგმნა შეუძლებელია. ამ მონაკვეთში, როგორც ჩანს, თეშუმის და იმხარას დიალოგია აღწერილი. კოლოფონიდან ირკვევა, რომ ეს არის პირველი ფირფიტა „(მონათა) განთავისუფლების ეპოსისა“.

KBo XXXII 12 და KBo XXXII 14 ფირფიტების ტექსტი წარმოადგენს იგავებს (შვიდი იგავი). პირველი მათგანის გაბმული თარგმნა ჭირს. KBo XXXII 14 მოიცავს 125 სტრიქონს (Vs. I 60, Rs. IV 65). ტექსტი კარგადაა შემონახული და ადვილად ითარგმნება. ყოველი არაკის ბოლოს მოცემულია განმარტება – იგავის მორალი. იგავებში მოქმედი პირები არიან ცხოველები, ნივთები, ადამიანები. თხრობა იწყება არაკით, შემდეგ ავტორი ახსნა-განმარტებას იძლევა: „ეს არ არის შველი, ძაღლი, თასი და სხვა. ეს არის ადამიანი“. შემდეგ მიმართავს მსმენელებს: „გვერდზე გადავდოთ ეს ამბავი, მე თქვენ სხვას მოგიყვებით“.

საილუსტაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე იგავს:

„ერთი შველი მთამ თავისი ფერდობიდან გააძევა. შველმა სხვა მთას მიაშურა. ჩხუბი უნდოდა და დაუწყო პირველ მთას წყევლა: „დაე, ცეცხლმა გადაწვას მისი საძოვრები, თეშუმმა გააცამტვეროს იგი, ცეცხლმა მთლიანად გადაბუგოს!“ მთამ ეს რომ გაიგონა, გული ეტკინა. თავისი მხრიდან მანაც დაწყევლა შველი: „რატომ მწყევლის მე ჩემგან გასუქებული შველი? დაე, მონადირეებმა მოკლან და მეჩიტბადეებმა დაიჭირონ იგი! დაე, მისი ხორცი მონადირეებმა წაიღონ, ხოლო მისი ტყავი კი მეჩიტბადეებმა!“

ეს შველი არ არის, ეს არის ადამიანი. ეს ის კაცია, რომელიც თავისი ქა-

ლაქიდან წავიდა და სხვა ქალაქი მოძებნა. ჩხუბი მოუნდა და თავისი ქალაქის ლანძღვა დაიწყო. მისი პირველი ქალაქის ღმერთებმა დაწვევლეს იგი სამუდამოდ.

გვერდზე გადავდოთ ეს მოთხრობა, მე თქვენ სხვას მოგიყვებით. მოისმინეთ ამბავი! ჭკუისსასწავლებელ ამბავს მოგიტხრობთ:

ერთი შველი ძოვდა მდინარის აქეთა ნაპირის საძოვარზე, მაგრამ (მდინარის) იქითა მხარის საძოვარს თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა. გამოღმა საძოვარს უკვე აღარ ფლობდა, გაღმა მხარის საძოვარს კი ვერ მისწვდა.

ეს არ არის შველი, ეს არის ადამიანი, რომელიც თავისმა ბატონმა ოლქის მმართველად დანიშნა. მას კი გამუდმებით სხვა ოლქისაკენ ეჭირა თვალი. თავის ოლქს აღარ ფლობდა, მეორე – თვალით ვერ იხილა. ადამიანებს ღმერთები კეთილგონიერებისაკენ მოუწოდებენ.

გვერდზე გადავდოთ ეს მოთხრობა, მე თქვენ სხვას მოგიყვებით. მოისმინეთ ამბავი! ჭკუისსასწავლებელ ამბავს მოგიტხრობთ:

ერთმა სპილენძზე მომუშავე მჭედელმა ფიალა ჩამოასხა თავის სასახელოდ. გამოჭედა და მისცა შესაბამისი ფორმა. ბრჭყვიალა აპლიკაციებით დაფარა, ორნამენტები ამოტივფრა და ბრწყინვალეა შემატა. მაგრამ უგუნურმა სპილენძმა დასწყევლა ის, ვინც იგი გამოჭედა: „აგრემც ხელი მოსტყდება ჩემს გამომჭედელს, მარჯვენა ხელის მუესიმც გადაენასკვება!“ ეს რომ მჭედელმა გაიგონა, გული ეტკინა. თავის თავს ეუბნებოდა: „რატომ მწყევლის ჩემგან გამოჭედილი სპილენძი?“ თავის მხრივ მჭედელმაც დასწყევლა თასი: „დაე, თეშუბმა დაამსხვრიოს თასი, ბრჭყვიალა აპლიკაციები დააგლიჯოს! დაე, თასი არხში ჩავარდეს, მზინვარე აპლიკაციები კი მდინარეში!“ ეს თასი არ არის, ეს არის ადამიანი. ის ვაჟიშვილი თავისი მამის მტერია. გაიზარდა, მოიპოვა სახელი, თავის მამას კი ზედაც აღარ უყურებდა. მამამისის ღმერთებმა იგი სამარადისოდ დაწვევლეს, შეაჩვენეს.

გვერდზე გადავდოთ ეს ისტორია, – მიმართავს მსმენელებს მთხრობელი, – მე თქვენ სხვას გიამბობთ. ისმინეთ ამბავი. ერთ ჭკუისსასწავლებელ მაგალითს მოგიყვებით“.

ამის შემდეგ იწყება მომდევნო არაკი. ამ შვიდი არაკიდან შემდეგი მორალურ-ეთიკური დებულებები დგინდება: „ნუ უგულვებელყოფ შენს სამშობლოს! (I არაკი). დასჯერდი იმას, რაც კანონით გეკუთვნის და სხვის ქონებაზე ნუ გიჭირავს თვალი!“ (II არაკი). იყავი მადლობელი მამაშენისა და პატივი ეცი მას! (არაკები III, VI). „აღასრულე შენი ვალი იმ საქმეში, რომელსაც ადგახარ!“ (არაკები IV, V). „იყავი მადლიერი შენი მასწავლებლისა და პატივი ეცი მას!“ (არაკი VII). (E. Neu, Das hurritische Epos der Freilassung I, 218).

KBo XXXII 13 ალანის ნადიმი მოიცავს 30 სტრიქონს. კოლოფონში მითითებულია, რომ ტექსტი დაუსრულებელია. ამ მონაკვეთში აღწერილია ქალღმერთ ალანის მიერ ღმერთ თეშუბისათვის გამართული დიდებული ნადიმი. საპატიო სტუმარი თეშუბი შევიდა სასახლეში და დაბრძანდა მისთვის მომზადებულ სავარძელში. გაიშალა უხვი სუფრა, დაიკლა ათი ათასი

ხარი, ოცდაათი ათასი ცხვარი, უთვალავი ბატკანი და ციკანი. ხაბაზებმა მოამზადეს ნამცხვარი. სუფრაჯები შემოვიდნენ. თეშუბის მხარმარჯვნივ ძველი ღმერთები მოთავსდნენ. ალანი თავისი კეთილგანწყობილების გამო-სახატავად თვითონ ეახლა თეშუბს, როგორც სუფრაჯი და შესთავაზა ყანწი. აქ წყდება ხურიტული ტექსტი.

KBo XXXII 15-20 მოთხრობილია ქალაქ ებლას ისტორია. მე-15 ფირფიტა მოიცავს დაახლოებით 42 სტრიქონს. შემდეგ მოდის მარცხენა სვეტში კოლოფონი ხეთურ ენაზე, საიდანაც ვიგებთ, რომ ეს არის (მონათა) განთავისუფლების ეპოსი და იგი დაუმთავრებელია.

ებლას ისტორიის მთავარი თემაა „მონათა განთავისუფლება“, ხურ. ki-renzi, ხეთ. para tarnumar. ბილინგვაში აღწერილი მონათა განთავისუფლების კანონი (წესი, რიტუალი) ასოცირდება ძველ ებრაულ იუბილეებთან, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ბიბლიაში (ლევიათა 25). ებლაში უნდა გაეთავისუფლებინათ ქალაქი იქინქალიში მცხოვრები მონები და მათ შორის ფურა. ამ მიზნით მოიწვიეს სატახტო ქალაქ ებლაში მეზობელი რეგიონების ცხრა მეფე უხუცესთა საბჭოს თათბირში მონაწილეობის მისაღებად. საბჭოს მეათე წევრი იყო „ებლას ვარსკვლავად“ წოდებული ქალაქ ებლას მეფე მეგი. და ბოლოს, დისკუსიაში ჩაერთო ხურიტული პანთეონის უმაღლესი ღვთაება თეშუბი. უხუცესთა საბჭოს ერთ-ერთი წევრი ხაზალა – ცნობილი ორატორი, რომელსაც სიტყვის შებრუნებას ვერავინ უბედავდა, წინააღმდეგი იყო მონათა განთავისუფლებისა: „ესენი რომ გავათავისუფლოთ, ვინ მოგვართმევს საჭმელს? ესენი ხომ ჩვენი სუფრაჯები არიან, ესენი გვიშლიან სუფრას, ესენი არიან ჩვენი მხარეულები, ესენი რეცხავენ ჭურჭელს... თუ შენ მონათა განთავისუფლება გსურს, მაშინ ჯერ შენი საკუთარი მონები გაანთავისუფლე, შენი ვაჟები გაასხვისე, შენი მეუღლე თავისი მამის სახლს დაუბრუნე. შენ კი მეგი დარჩი ჩვენთან ებლაში შენს ტახტზე“. ეს სიტყვები რომ მოისმინა, მეგი მუხლებზე დაემხო თეშუბის წინ და ტირილით უთხრა: „ისმინე, თეშუბ, კუმმის დიდო მეფევ! ჩემის მხრივ მე ჩემებს გავუშვებ, მაგრამ ჩემი ქალაქი არ გაათავისუფლებს მონებს, არც ხაზალა დაუშვებს ამას“. თეშუბი მოითხოვს მონათა გათავისუფლებას ქალაქი ებლასაგან, ხოლო თუ ქალაქი უარს იტყვის, ღმერთი მას სრული განადგურებით ემუქრება: „ქალაქ ებლას მოგსპობ, მიწასთან გავასწორებ, ჭვემო ქალაქის ზღუდეს ფიალასავით დავამსხვრევ, ზემო ქალაქის ზღუდეს ნაგვის გროვასავით გავთელავ, ბაზრის შუაგულში ებლას ფუნდამენტს ფიალასავით გავსრესავ, თქვენს დოვლათს თან წავიღებ...“

აქედან ტექსტი წყდება. გაურკვეველია, როგორ დამთავრდა ეს ჭიდილი. ამ ტექსტის გარდა, შემორჩენილია დაახლოებით ასამდე მცირე ფრაგმენტი.

გარდა მხატვრულ-ლიტერატურული და შემეცნებითი ღირებულებისა, ბილინგვა მრავალმხრივ საინტერესოა ხურიტული ენის შემდგომი შესწავლისათვის. ბილინგვა საგრძნობლად ამდიდრებს ხურიტული ენის ლექსიკას. აქ გვხვდება აქამდე უცნობი სიტყვები, ან მტკიცდება და ზუსტდება უკვე

დადასტურებული სიტყვების მნიშვნელობა.

პროფესიის აღმნიშვნელი სახელები: tabli (KBo XXXII 14 Vs. I 42) „მჭედელი“, Freilassung 80, 143, 154; haziiani (KBo XXXII 14 Rs. 25) „ბურგომისტრი“, Freilassung 86, 182; idenni (KBo XXXII 14 Rs. I 35, 38...) „მშენებელი, ხუროთმოძღვარი“, Freilassung 88, 183; kebli (KBo XXXII 14 Vs. I 12) „მონადირე“, Freilassung 74, 114; აგრეთვე E. Neu Xenia Heft 21, 104 და M. Salvini, Xenia Heft 21, 164; ka-re-e-na-su-us (KBo XXXII 14 Vs. I 13, 15) „მეჩიტბადე“, Freilassung 74, 76, 114; varini (KBo XXXII 13 Vs. I 21) „ხაბაზი“, Freilassung 222, 258; უაა-ან-ტა-რი-ნი-ნა-ა-მა (KBo XXXII 13 Vs. I 22; 15 Vs. I 27) „მზარეული“, Freilassung 222, 260; tabsahi (KBo XXXII 13 Vs. I 21; 15 Vs. I 27) „სუფრაჯი“, Freilassung 222, 259, 337 და სხვა.

ცხოველების სახელები: kam(m)i (KBo XXXII 14 Rs. IV I 23, 24) დღემდე უცნობი ცხოველის სახელი, Freilassung 60, 86; erbi (KBo XXXII 14 Rs. IV 9, 13) „ძაღლი“, Freilassung 84, 167140; z/serru (KBo XXXII 14 Rs. 55) „სახედარი“, Freilassung 94, 199; nali (KBo XXXII 14 Vs. I 1, 2, 12, 17) „შველი, ირემი“ და სხვა.

ლითონების აღმნიშვნელი სახელები: kabali (KBo XXXII 14 I 47) „სპილენძი“ ცნობილი uruthi-ს გვერდით, Freilassung 80, 111, 150 და ა.შ; isuhni, i-su-uh-ni (KBo XXXII 15 Vs. I 5, 8) „ვერცხლი“ ცნობილი ushuni-ს გვერდით, Freilassung 288, 304, 305, 307; *zik-, zi-ik-ku-u-ul-li (KBo XXXII 14 Vs. 48) „დამტკრევა, დამსხვრევა“, Freilassung 80, 151; Neu, Xenia Heft 21, 108; ase, a-a-se (KBo XXXII 14 Vs. I 13) „ცხიმი, ქონი“ ან „ხორცი“, „Fett~, `Fleisch~, Freilassung 74, 115, 116; Neu, Xenia Heft 21, 104-105; nauni (KBo XXXII 14 Vs. I 5), „საძოვარი, საბალახო“, „იალალი“, „Weide~, Freilassung 62, 74, 105, 128; ashi (KBo XXXII 14 Vs. I 14) „ტყავი, ბეწვი“, „Fell, Haut~. ეს სიტყვა უგარიტშია დადასტურებული და აქ მტკიცდება თარგმანის სისწორე, Freilassung 76, 115; abri (KBo XXXII 14 Rs. 56) „შეშის შტაბელი, თაკარა“, Freilassung 94, 201, 202; sasarru (KBo XXXII 14 Rs. 55) „ხერხი“, Freilassung 94, 199; suhni, suhunne (KBo XXXII 14 Rs. 36) „კედელი (კოშკის)“, Freilassung 88, 189, 190, 193, 195; u-uee-ne-es, u-be-ne-es (KBo XXXII 14 Vs. 46; Rs. I 36, 58) „ბრიყვი, სულელი“, `toriche~, Freilassung 80, 111, 150, 190; kumdi [ku-u] m-ti (KBo XXXII 14 Rs. 35) „კოშკი“, „Turm~, Freilassung 88, 183 და მრავალი სხვა.

ხურიტულ ტექსტში გვხვდება მრავალრიცხოვანი ნასესხობები აქადურიდან: nali (KBo XXXII 14 Vs. I 1, 2, 9) < akkad. nalu „შველი, ირემი“, Freilassung 74, 99, 102, 110; kazi/kasi (KBo XXXII Vs. I 42, 58; Rs. IV 1) < akkad. kasu „ფიალა, თასი“, Freilassung 70, 143, 453; haziiani (KBo XXXII 14 Rs. 25) < akkad. hazianu „ბურგომისტრი“, Freilassung 86, 182; idenni (KBo XXXII 14 Rs. I 35, 38, 39, 48) < akkad. itinnu/etennu „მშენებელი, ხუროთმოძღვარი“, Freilassung 88, 183; hiriti (KBo XXXII 14 Rs. 35) < akkad. heru „თხრა“, „Graben~, „არხი, ღარი, თხრილი“, Freilassung 88, 185; sasarru (KBo XXXII 14 Rs. 55) < akkad. sassaru „ხერხი“, Freilassung 94, 199; abri (KBo XXXII 14 Rs. 56) < akkad. abru „შეშის თაკარა, შტაბელი“, Freilassung 94, 201, 202, 533 და სხვა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექსტში დადასტურებული ენის გრამატიკული სტრუქტურის საკითხები. ბილინგვის ენა ძირეულად განსხვავე-

ბულია აქამდე ცნობილი ტექსტების ენისაგან. ბილინგვაში გამოვლინდა ზმნის დღემდე უცნობი უარყოფითი ფორმა *ma-a-an-nu-u-bur* (KBo XXXII 12 Vs. I 9; 14 Vs. I 17, 31; Rs. IV 1, 13, 24, 48, 63), *Freilassung* 76, 116, 170. პარალელურად ტექსტი გვხვდება ცნობილი *-kk-* უარყოფითსუფიქსიანი ფორმები *manukku-*ს ტიპისა: *anikki* (KBo XXXII 15 Vs. I 22, 23) არ გაიხარებს, *Freilassung* 116, 292, 331, 332; *an-ast-i-kki* (KBo XXXII 15 Vs. I 21), *Freilassung* 329, 331, 333; *e-er-du-uk-ku* (KBo XXXII 80 lk. Kol. 5), *Freilassung* 533; *urukku* (KBo XXXII 107 lk. Kol. 1) „არ არის, არ არსებობს“, *Freilassung* 533, 544 და სხვა მრავალი. გვხვდება აგრეთვე ცნობილი უარყოფის გამომხატველი სუფიქსი *-mma-*თი ნაწარმოები ფორმა *ariamma* (KBo XXXII 15 Rs. IV 16) < *ar-* „მიცემა“, *Freilassung* 296, 363, 364, 365.

ტექსტში დადასტურებულია გერუნდივის ფორმები: *hasi-mai* (KBo XXXII 14 Vs. I 50) < *has-* „მოსენა“, *Freilassung* 80, 108, 154, 249; *alumi* (KBo XXXII 31+208 Vs. I 4) < *al-* „თქმა“, *Freilassung* 497, 498; *uaa-su-ma-i* (KBo XXXII 13 Vs. I 3) < *fas-* „გაგზავნა, წასვლა“, *Freilassung* 135, 414 და სხვა.

ბილინგვის ენაში უხვად გვხვდება ზმნის მოდალური ფორმები: *itilanni* (KBo XXXII 14 Vs. I 6) < *id-* „დამტკრევა, დამსხვრევა“, *Freilassung* 74, 156; *Xenia Heft* 21, 101; *amelanni* (KBo XXXII 14 Vs. I 6, 7) < *am-* „მოთიანად დაწვა, გადაბუგვა“, *Freilassung* 105, 106; *Xenia Heft* 21, 101, 103; *kutte* (KBo XXXII 14 Vs. I 11) < *kud-* „ჩამონგრევა, დაგდება“, *Freilassung* 74, 113; *Xenia Heft* 21, 104-105; *haite* (KBo XXXII 14 Vs. I 12, 13) < *hai-* „აღება“, *Freilassung* 74, 113, 114, 115; *Xenia Heft* 21, 104-105; *kadulli* (KBo XXXII 14 Vs. I 24) < *kad-* „თქმა, მოყოლა“, *Freilassung* 76, 123, 124, 300, 358; *Xenia Heft* 21, 106-107; *zikkulli* (KBo XXXII 14 Vs. I 47) < **zik-* „დამსხვრევა“, *Freilassung* 151, 152, 190, 191, 205; *Xenia Heft* 21, 107-108; *kul-es* (KBo XXXII 14 Vs. I 23) < *kul-* „ლაპარაკი, თქმა“, *Freilassung* 76, 122; *Xenia Heft* 21, 106-107 და სხვა მრავალი.

ბილინგვის ენაში მრავლად გვხვდება ზმნის ფორმები *-ab*, *-ib*, *-ub* დაბოლოებებით, რომლებიც დადასტურებულია მარის ტექსტებშიც (ძვ. წ. აღ. XIX-XVIII სს.): *pa-si-ib*, *Mari* 1:3,6; 2:9; < *pas-* „გაგზავნა“; *hi-ri-ib*, *Mari* 1:4; 2:11; < *hir-*. მაგალითები ბილინგვის ტექსტიდან: *ak-ab* (KBo XXXII 13 Vs. I 4) < *ag-* „მოტანა, მოყვანა“, *Freilassung* 22; *a-ki-ib* (KBo XXXII 13 Vs. 22) < *ag-*, *Freilassung* 74, 102; *hi-il-li-ib* (KBo XXXII 14 Vs. I 52) < *hil-* „თქმა, ლაპარაკი“, *Freilassung* 80, 155 და სხვა.

ცალკე უნდა გავიხილოთ *-ub* დაბოლოებიანი ფორმები. ცნობილია, რომ ხურიტულ საკუთარი სახელებში, რომელთა უმეტესობა წინადადებას წარმოადგენს, გამოყოფენ ზმნურ ფორმებს *-a*, *-i*, *-u* დაბოლოებებით. ეს ფორმები წარმოადგენენ მიმღეობებს: *-a* საშუალო გვარის, *-i* მოქმედებითი გვარის, ხოლო *-u* შესაბამის ვნებითი გვარის მიმღეობას. ეს სამი ოპოზიცია დადასტურებულია ონომასტიკურ მასალაში, სადაც ზემოხსენებული ფორმები *-b* ფორმატთან ერთად *-ab*, *-ib*, *-ub* საკუთარი სახელების კომპონენტებად გვევლინებიან. *-a* და *-i* ფორმების მნიშვნელობა თითქმის ყველა მკვლევარისთ-

ვის მისაღება. რაც შეეხება -u ფორმებს, აქ აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება, მკვლევართა უმეტესობა მას ვნებითი გვარის მიმღეობად აღიქვამს, ზოგს მოქმედებითი გვარის მიმღეობად მიაჩნია იგი (თიშათალის ტექსტში, Andre Parrot et Jean Nougayrol, Un document de foundation Hurrite, RA XLII 1-2, 1948; И.М. Дьяконов, Языки древней передней Азии, 1967, 443 сл.). ბილინგვის ტექსტში მრავლად გვხვდება -u-m/b-ზე დაბოლოებული მიმღეობები, რომლებიც მოქმედებით გვარს განეკუთვნებიან. ასეთებია: ku-lu-u-ru-um (KBo XXXII 14 Vs. I 55) < kul- „თქმა, ლაპარაკი“, Freilassung 80, 156; იგივე ფორმა გვხვდება Allaiturah(h)i-ის რიტუალში ku-lu-ru-um, ChS I 5 N 97 Rs. 7 (იხ. Volkert Haas, Das hurritisch-hethitischen Rituale der Beschworerin Allaiturah(h)i und ihr Literarhistorischer Hintergrund, Xenia Heft 21, 131); [ku-]lu-u-um-ma (KBo XXXII 15 Vs. I 3) < kul-, Freilassung 289, 330; mel-ahh-u-m (KBo XXXII 14 Vs. I 2) < mel-ahh- „გადება, გაძევება“, Freilassung 74, 98; pa-ast-u-m (KBo XXXII 14 Rs. I 35) „აშენება“, Freilassung 88, 184 შემდ.; tal-ahh-u-m, -m= -b? (KBo XXXII 14 Rs. 23) „წაიღო, გაიტაცა“, Freilassung 86, 179; Xenia Heft 21, 111; si-ta-ri-il-lu-um (KBo XXXII 14 Vs. I 4) „დაუწყო წყევლა“, Freilassung 74, 104 და სხვა მრავალი. პარალელურად გვხვდება ე.წ. „ფინიტური“ ფორმებიც: i-sa-asa-ru-u-la(-)u-un-na (KBo XXXII 15 -ar-ol-au-nna ზმნა ar- „მიცემა“) პირველი პირი, მხ.რ. აგენტის ნიშანი -au და პირველი პირის ნაცვალსახელი ერგატივში isa-s, Freilassung 296, 361; ka-me-e-ne-es ka-ak-ka-ri ta-li-i-ia (KBo XXXII 14 Rs. 23) ქვემდებარე ერგატივშია, შემასმენელი - ზმნის „ფინიტური“ ფორმა, მესამე პირი, მხ.რ., აწმყო დრო -ia დაბოლოებით, Freilassung 86, 167 და სხვა.

საბოლოოდ ასეთი სურათი იხატება: ბილინგვის ხურიტული ტექსტის ენა არის გაცილებით ადრინდელი, ვიდრე თუშრატას წერილისა და სხვა ხურიტული ტექსტების ენა, გარდა Tis-atal-ის წარწერისა და მარის ტექსტებისა. ენის განვითარების ამ ეტაპზე ერთმანეთის გვერდით გვხვდება ზმნის, როგორც „ფინიტური“ ფორმები, ასევე -a, -i, -u-ზე დაბოლოებული ფორმები, სადაც -u-ზე დაბოლოებული ფორმები მოქმედებითი გვარის მიმღეობებია და ითარგმნება აქტივად.

აქ უნდა ავლნიშნოთ შემდეგი:

ჯერ კიდევ 1978წ. ხურიტული ტექსტების ანალიზის საფუძველზე (თუშრატას წერილი, განსაკუთრებით Tis-atal-ის წარწერა და მარის ტექსტები), სხვადასხვა ენებიდან (ურარტული, ქართველური და სხვა) ტიპოლოგიურად მსგავსი პარალელების გათვალისწინებით, საკუთარ სახელებში დადასტურებული მიმღეობების შესწავლის და მათი შედარებით მსგავს საკუთარ სახელებთან სხვადასხვა ენებში (აქადური, ბერძნული, ებრაული, ირანული, სკვითური, ლათინური და სხვა) ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, რომ -u-ზე დაბოლოებული ფორმები არის მოქმედებითი გვარის მიმღეობები და ითარგმნებიან აქტივად. მოვიყვანთ ამონარიდს ჩვენი ნაშრომიდან:

“Можно предположить, что в древнехурритском языке существовали предположения с глагольными формами с окончанием -a, -i, -u (оппозиции, засвидетельствованные в собственных именах) и с субъектом в неоформленном падеже, в которых глагольные формы, оканчивающиеся на -u, применялись для передачи действительного залога, а формы с окончанием -a и -i, следовательно, являлись соответствующими формами среднего и страдательного залога. В позднем языке появились формы с суффиксом агента для передачи действительного залога, которые постепенно вытеснили формы с окончанием -u. В тексте Тишари засвидетельствованы финитные формы с суффиксом агента (dLu-ba-da-ga-s s/zag-ru-in), но параллельно пока ещё функционируют формы с окончанием -u (pah-(a)s-tu-m), которые в поздних текстах уже не встречаются.

В древнейшем хурритском (на основании собственных имен)	В старохурритском (на основании текста Тишари)	В позднехурритском
-a	-*a	-a
-i	-i	-i
-u	-u / *-ya, -en	-ya, -en

Из схемы видно, что древние формы на -u в позднехурритском заменены формами на -ya, а так как формы на -ya являются активами, активами должны быть и формы на -u. (Н. Нозадзе, Вопросы структуры хурритского глагола, Тбилиси, „Мецნიერება“, 1978, 35).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბილინგვის ენა მკვეთრად განსხვავდება თუშრატას წერილისა და ყველა სხვა ხურიტულენოვანი ტექსტის ენისაგან. ეს განსაკუთრებით ეხება ენის გრამატიკულ სტრუქტურას. მრავალი გრამატიკული მოვლენა მომავალში შეიძლება ახლებურად იქნეს მოდიფიცირებული, ანდა ძირეულად შეცვლილი სახით წარმოდგენილი. ამიტომ აუცილებელია ხურიტული ენის ახალი გრამატიკის შედგენა ბილინგვის ენაზე დაყრდნობით და მკვლევართა ყველა მოსაზრების გათვალისწინებით. ამ საკითხზე მუშაობდა ე. ნოი, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი გარდაიცვალა. ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური კვლევითი სამუშაოები ამ პრობლემის მოსაგვარებლად.